საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ბრძანება

N 1317-03
31/08/2023

ქ. თბილისი

2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველი მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის გამოცდის ჩასატარებლად ოთახების გამოყოფის, პროგრამების მიხედვით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების, მიმღები კომისიების და საპრეტენზიო საბჭოების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 10 ივლისის N 1023-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 10 ივლისის N1023-03 ბრძანებით, 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე გამოცხადებული მიღების ფარგლებში, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღები განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;

2. 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრატურის საფეხურზე მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების კომისიების (მიმღები კომისიების და საპრეტენზიო საბჭოების) შემადგენლობა განისაზღვროს ამ ბრძანების დანართი 2-ში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად;

3. სააპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადად განისაზღვროს პერიოდი 2023 წლის 10 სექტემბრის 10:00 საათიდან 11 სექტემბრის 18:00 საათამდე. საპრეტენზიო განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე graduateschool@iliauni.edu.ge. საპრეტენზიო განაცხადის საფუძველზე დანიშნული განმეორებითი ზეპირი გამოცდა ან/და ესეების/ტესტების/სამოტივაციო წერილების განმეორებითი განხილვა ჩატარდეს 2023 წლის 13-14 სექტემბერს;

4. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ინფორმაცია პროგრამების მიხედვით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების/დროის, მაგისტრანტობის კანდიდატთა საიდენტიფიკაციო კოდებით სიების და საგამოცდო აუდიტორიების მითითებით, განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე არაუგვიანეს 2023 წლის 1 სექტემბრისა.

5. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანების დანართი 3- ში მითითებული აუდიტორიების დაჯავშნა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს და ამ ბრძანების დანართი 2-ით განსაზღვრულ პირებს.

ნინო მატარაძე



დეკანი